სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/55

ქ. თბილისი

4 ივნისი 2021 წ.

„აგროინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 19 აპრილის საბჭოს სხდომის №99 ოქმის გათვალისწინებით და აკადემიური საბჭოს2021 წლის 4 ივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს, „აგროინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი;
2. დაევალოს ფაკულტეტს, 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტის 2021 წლის 19 აპრილის საბჭოს სხდომის №99 ოქმის შესაბამისად, „აგროინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტებმა, ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის ფარგლებში, სასწავლო კურსი „გამოყენებითი მექანიკა 2“ დაასრულონ მიმდინარე სემეტრის 10 კვირაში, ხოლო შემდეგ 10 კვირაში გაიარონ 3 სასწავლო კურსი: „სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები“, სასოფლო-სამეურნეო მანქანები 1“, „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია“.
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**